

# სპორტსმენი

პირველი ქართული სპორტული გაზეთი.  
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან  
30 აპრილი საშუალოდ 2013  
№100 (14 016) ფასი 80 თეთრი



ეროვნული  
ზიგლიოთეკა

13

# ქუზრიაშვილი VS გირაქაშვილი პარტიზანთა vs რასვები: მოვიგოთ ჰაინაქანის თასი

დღეს ჩემპიონთა ლიგის  
საპასუხო ნახევარფინალია  
**რეალი-დორტმუნდი**



რეალმა დორტმუნდში დანებების  
ნიშნად ხელი სამჯერ დაარტყა  
**დღეს საში საბოლოო  
დარტყმა სჭირდება**

8-9



**ოლიმპი-არგია** 8 მაისიდან  
1/2-ფინალები 3 მოგზაგადა

**მსს-ქუთაისი**

## ქართული რუსთაველი სუპერლიგაში ნახევარფინალისტები ბათუმისინდენა

12



**საკლუბო  
ფეხბურთს  
არ  
მივატოვებთ**

ნტარკია  
ლეკან  
ყიფიანთა

2-3

აღმოჩენა ზანი  
**ქოხენტატორი**  
პირველ არსზე











● გერმანია. ბუნდესლიგა. XXI ტურის შედეგები

# ჰუნტელაარი ზღაპრულად დაბრუნდა!

## ჰოლანდიელმა ზალკეს ჩემპიონთა ლიგის კარი გაუღო

გოლმს ყველაფერი გაცილებით მარტივად მოგვარდა, ვიდრე ამას „შალკეს“ მრავალგზის ნანერვილები ფანები წარმოიდგენდნენ - გელზენიკის ბუნდესლიგის ბრძოლაში ფინალად შერაცხილი მატჩი „ჰამბურგთან“ 4:1 მოიგეს და საუკეთესო ოთხეულში მყარად დამკვირდნენ, რაც პირველ რიგში კლას-იან ჰუნტელარის დამსახურებაა. ჰოლანდიელი გოლეადორი ამ სეზონში ტრავმებმა გატანა და ვერ ბრწყინვდა, ბოლოს კი ისევ ტრავმირებული გახლდათ. ჰუნტელარმა ვარჯიში სამხატაოს განაახლა, კვირას კი მოედანზე გავიდა და „ჰამბურგთან“ ჰეთ-თრიკი შეასრულა! სამ გოლთან ერთად, მის ანგარიშზე ერთი საგოლე პასიცაა - შესაბამისად, ჰუნტელარი ტურის გმირად დაჯავსებულა.

„ახლა ვარჯიშებზე ცოტათი ფრთხილად უნდა ვიყო, რადგან ტრავმა ბოლომდე მოშუშებული არ მაქვს. რაც მთავარია, „ჰამბურგთან“ მოვიგეთ და ჩემპიონთა ლიგისკენ მივდივართ,“ - აღნიშნა თამაშის შემდეგ 29 წლის ჰოლანდიელმა ფორვარდმა.

ამ მატჩის შემდეგ „შალკე“ მეოთხე ადგილის დაკავების ნომერ პირველი ფავორიტი გახდა. გელზენიკის ბუნდესლიგის მდევარი ახლა ფრანკფურტის „აინტრახტი“, რომელსაც სამი ქულით უსწრებენ. „ეს ბევრს არაფერს ნიშნავს, რადგან წინ კიდევ სამი მატჩი გველის და უმადლესი კონცენტრაცია გვჭირდება,“ - აცხადებს „შალკეს“ დროებითი თავკაცი იენს კელერი და ცამდე მართალია, რადგან ამ სამიდან „ხუმარებს“ ორი მატჩი მიონხენგლადბახში და „ფრაიბურგთან“ ელით...

გოტფრიდ ლენცი

● შალკე

# დრაქსლერი: რა დორგმუნდი, გააფრინეთ?

## ეფენბერგი ბელჯინკირხენში? ფანებს შტაფანი არ უნდათ!

კვირა „შალკეს“ გულშემატკივრებისთვის ყველაწარად დადებითი გამოვიდა. რაც ყველაზე მთავარია, გელზენიკის ბუნდესლიგა კლუბმა ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის ბრძოლაში უმუშაო კონკურენტი „ჰამბურგი“ 4:1 დაამარცხა და მე-4 ადგილზე პოზიციები გაიმყარა, მატჩის შემდეგ კი, „შალკეს“ ახალგაზრდა ტალანტმა იულიან დრაქსლერმა უარყო მთარული ხმები იმის შესახებ, თითქოს დორტმუნდის „ბორუსიაში“ აპირებს გადასვლას. თუმცა ამით ყველაფერი არ დამთავრდა: კვირას გვიან ღამით კი „ბილდმა“ დაწერა, „შალკეს“ მთავარი მწვრთნელის პოსტზე შტეფან ეფენბერგი განიხილება...

„არ მჯერა, რომ „შალკეს“ ზოგიერთმა გულშემატკივარმა ეს ქორი მართლად დაიჯერა. ჩემთვის შეურაცხყოფაა ის, რომ „შალკეს“ ქომაგმა ჩემი „დორტმუნდში“ გადასვლა დაიჯეროს. ვისაც ეჭვი ეპარება, ყველას ვპირდები, რომ ნაღდი შალკელი ვარ, რაც იმას ნიშნავს, რომ დორტმუნდის „ბორუსიაში“ არასდროს ვითამაშებ!“ - უთხრა 19 წლის დრაქსლერმა ჩვენს გერმანულ კოლეგებს.



იულიან დრაქსლერი „შალკეს“ არ უღალატებს



კლას-იან ჰუნტელარმა ჰამბურგს სამი გაუტანა

### საუკეთესო ფეხბურთელები XXVIII ტურის შემდეგ „კიკერის“ შეფასებების მიხედვით

ფეხბურთელი	კლუბი	შეფასება	ს/შ
1. ფრანკ რიბერი	ბაიერნი	25	2.18
2. კჰინ ჰრაი	აინტრახტი	26	2.40
3. მარიო გიოტცე	დორტმუნდი	28	2.46
4. რანდ ალფი	ლვერკუზენი	30	2.72
5. ფილიპ ლაში	ბაიერნი	27	2.77
6. ტონი კროსი	ბაიერნი	24	2.78
7. ჯერალდ პაში	ბაიერნი	23	2.79
8. ასტინ შაინშტაიგი	ბაიერნი	26	2.80
9. თომას მიულერი	ბაიერნი	25	2.80
10. დივი პანალი	ვოლფსბურგი	31	2.82

ფეხბურთელი	კლუბი	თამაში	გოლი	პასი	ქულა
1. შტეფან კილინგი	ლვერკუზენი	31	22	10	32
2. რობერტ ლეანდოვსკი	დორტმუნდი	28	23	7	30
3. თომას მიულერი	ბაიერნი	25	12	12	24
4. იაკობ კლაინჰოფერი	დორტმუნდი	24	11	11	22
5. მარიო გიოტცე	დორტმუნდი	28	10	12	22
6. მარიო როსი	დორტმუნდი	29	12	9	21
7. საბლუ ჰუსტი	პანოვერი	21	9	11	20
8. ფრანკ რიბერი	ბაიერნი	25	8	11	19
9. დივი	ვოლფსბურგი	29	9	8	17
10. კვად ინიშვიჩი	შტუტგარტი	28	13	4	17

### XXVIII ტურის გმირი

#### კლას-იან ჰუნტელარი



ჰუნტელარზე ზემოთ ბევრი ვისაუბრეთ და აქ მხოლოდ იმას დავეძენ, რომ ჰოლანდიელმა „ჰამბურგთან“ ამ სეზონში თავისი მე-8, მე-9 და მე-10 გოლები გაიტანა. შეგახსენებთ, რომ 29 წლის ჰუნტელარი შარშან ბუნდესლიგის საუკეთესო ბომბარდირი გახდა - ნინა სეზონში მან 29 გოლის გატანა მოახერხა.

### ტურის სიგოლური ნაკრები ლელოს პერსიით



### ჩემპიონთა ლიგის მატჩი

#### პან პერსი ჩაეორდებს უბავს

კვირას, „ემირატსზე“ „არსენალთან“ გატანილი პენალტი რობინ ვან პერსისთვის 25-ე გამოდგა ჩემპიონატში, რაც „იუნაიტედის“ დებიუტანტი თავდამსხმელებისთვის ყველა დროის საუკეთესო შედეგია. ჰოლანდიელმა ბრაიან მაკლერის მიერ 1987/88 წლების სეზონში დამყარებული რეკორდი 1 გოლით გააუმჯობესა. 23-23 ბურთი იყო თავის დროზე დენის ლოუსა (1962/63) და რუდ ვან ნისტელროის (2001/02) ანგარიშზე. სადებიუტო სეზონში ყველა ტურნირში გატანილი ბურთების რეკორდი (36 გოლი) სწორედ ამ უკანასკნელს ეკუთვნის, თუმცა თანამემამულის შედეგთან მიხედვით ვან პერსის ძალიან გაუჭირდება. ჩემპიონატის გარდა მას ჩემპიონთა ლიგაში 3, ხოლო ასოციაციის თასზე 1 ბურთი აქვს გატანილი და პრემიერლიგის დარჩენილ 3 ტურში 6-ჯერ მართებს თავის გამორჩენა.



რობინ ვან პერსი

### ჯანსაღი: მთავარია, არ გავყარდეთ

„ვალიადოლიდის“ 47 წლის სერბმა მთავარმა მწვრთნელმა მიროსლავ ჯუკიჩმა პრემიერას ბოლო ტურში „სევილიასთან“ ფრედ დასრულებული თამაშის შემდეგ განაცხადა: „კიდევ ერთი თულა ავიღეთ იმისთვის, რომ სეზონში ჩვენი უმთავრესი მიზანი შევასრულოთ და პრემიერაში ადგილი შევიწარმოოთ. დარჩენილ შეხვედრებში მეტისმეტი თავდაჯერება დამლუპველი იქნება, მაგრამ ნინატგრძნობა კარგი მაქვს. კმაყოფილი ვარ იმით, თუ როგორ თამაშობს გუნდი. ადგილის საბოლოოდ გასანალდებლად 45 თულა გვჭირდება. მთავარი სწორედ ეს არის. სხვა მიზნებზე ფიქრი საქმეში ხელს შეგვიშლის,“ - განუცხადა ჯუკიჩმა Football Espana-ს. ჩემპიონატის დასრულებამდე 5 ტურით ადრე „ვალიადოლიდს“ 40 თულა აქვს და გასაყარდნ ზონას 10-ით უსწრებს.

### მუბა სალში ბრუნდება

34 წლის რუმინელ თავდამსხმელ ადრიან მუტუს ფრანგულ „აიაროსთან“ ხელშეკრულება 2014 წლის ზაფხულზე უმთავრდება, მაგრამ რუმინული პრესის ცნობით, ვეტერანმა შინ დაბრუნება გადაწყვიტა. ყოველ შემთხვევაში, ის არ უარყოფს, რომ სეზონის დასრულების შემდეგ კორნკული კლუბის ხელშეკრულებითან საკუთარ გემგებზე აპირებს დალაპარაკებას. თუკი ადრიანი მართლაც განიზრახავს სამშობლოში კარიერის გაგრძელებას, მას სერიოზული მოუწევს სახელფასო მაღლის მოთხოვნა, რადგან ამჟამინდელ ანაზღაურებას რუმინეთში ვერც ერთი კლუბი ვერ გადაუხდის. მიმდინარე სეზონში მუტუს ანგარიშზე ჩემპიონატის 29 შეხვედრაში 11 გოლია.

ლევან ზიბილაშვილი

გოტფრიდ ლენცი













ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

კანადური კლასიკა არ იქნება

ჰოკეის ეროვნულ ლიგაში დასრულდა რეგულარული ჩემპიონატი. გასამართავი იყო ერთადერთი შეხვედრა - "ბოსტონი" საკუთარ მოედანზე იღებდა "ოტავას" და გამარჯვების შემთხვევაში მეორე ადგილს დაიკავებდა აღმოსავლეთ კონფერენციაში, ჰოკეის მოყვარულები კი კლასიკურ კანადურ დაპირისპირებას იხილავდნენ, რასაც ბოლო 34 წელია არ ჰქონია ადგილი: "მონრეალი" - "ტორონტო". მაგრამ "ოტავამ" დაამარცხა "ბოსტონი" და აღმოსავლეთში სულ სხვა მეოთხედფინალური წყვილები მივიღეთ.

"ბოსტონმა" კარგი შედეგებით დაიწყო მატჩი, მაგრამ სიფრთხილესაც არ იკონცედა და დარტემის ნაცვლად, ცდილობდა რობინ ლენერის კარში შეეტანა შაიბა, თუმცა "ოტავას" გოლკიპერი ახერხებდა ამ იერიშების მოგერიებას.

პირველი პერიოდის ბოლოს, სტუმრებმა დასაჯეს "ბოსტონი" გამოუყენებელი მომენტების გამო: ერთ კონდრამ წარმატებით ითამაშა დამატებაზე ჟან-გაბრიელ პაგოს დარტემის შემდეგ. მატჩის შუაში კი ჯარედ კოუნამ გაამყარა "სენატორების" უპირატესობა, როცა ცისფერი ხაზიდან დარტემის შემდეგ, რამდენიმე ჰოკეისტს შორის გააძვირინა შაიბა.

მეორე პერიოდის ბოლოს და მესამეს დასაწყისში "ბოსტონმა" გაათანაბრა ანგარიში. თავიდან სწრაფ შეტევაში რიცხობრივი უპირატესობისას გაიტანა რიჩ პევერლიმ. ეს მეორე შესვენებაზე დასრულდა. მეორე პერიოდის დასრულების შემდეგ კი დენის საიდენტიფიკაციო გამოჩინა თავი - 2:2.

ისე ჩანდა, რომ კლოდ ჟულიენის შეგირდები შანსს ხელიდან არ გაუშვებდნენ, მაგრამ "ბოსტონმა" მოულოდნელად ტემპს უკლო, პერიოდის დასრულებიდან ოთხი წუთით ადრე კი საერთოდ თავის ზონაში ჩაიკეცა. ამას მოჰყვა "სენატორის" გრძელი იერიში, რომელიც პაგომ დამატებისას ცარიელ კარში გოლით დაასრულა, ბოლო წუთზე კი კაილ ტარისმა უკვე მეკარისგან მიტოვებულ კარში გაიტანა.

"ოტავას" გამარჯვებამ შეცვალა უკვე ნაწინასწარმეტყველები წყვილები. კანადური დერბი მაინც შედგება, ოღონდ "მონრეალის" წინააღმდეგ ითამაშებს არა "ტორონტო", არამედ "სენატორი", "ბოსტონის" მტოვებელი კი "ტორონტო" იქნება.

Table with 2 columns: მატჩი (მატჩი) and შედეგი (შედეგი). Rows include Boston Bruins vs Toronto Maple Leafs (2:4), Montreal Canadiens vs Toronto Maple Leafs (0:1), etc.

NHL პლეი ოფის კალენდარი

Table with 2 columns: მატჩი (მატჩი) and შედეგი (შედეგი). Rows include Boston Bruins vs Toronto Maple Leafs (8), Montreal Canadiens vs Toronto Maple Leafs (7), etc.

Table with 2 columns: ადგილი (ადგილი) and შედეგი (შედეგი). Rows include Boston Bruins (72), Montreal Canadiens (66), Toronto Maple Leafs (59), etc.

\* - დივიზიონის ლიდერი

Table with 2 columns: მატჩი (მატჩი) and შედეგი (შედეგი). Rows include Boston Bruins vs Toronto Maple Leafs (60), Montreal Canadiens vs Toronto Maple Leafs (57), etc.

კალატბურთი. NBA პლეი ოფი



მაიაში გავიდა, ნიუ იორკი შინ ბრუნდება

"ნიუ იორკს" კარგი შანსი ჰქონდა იმისთვის, რომ პირველს გაეფორმებინა შემდეგ ეტაპზე თამაშის უფლება. სტუმრებმა ბრწყინვალე სტილში შეძლეს 20-ქულიანი ჩამორჩენის 3 ქულამდე დაყვანა, როცა დაახლოებით სამუთონახევრიან მონაკვეთში რეიმონდ ფელტონმა 11 ქულა დააგროვა. ნინ იყო მთელი მეოთხე მეოთხედი და "ნიუ იორკს" აშკარა ფსიქოლოგიური უპირატესობა ჰქონდა.


აღნიშნული სპურტი "ნიქსის" ლიდერის კარმელო ენტონის გარეშე განხორციელდა, რომელმაც ნაადრევად მიიღო მეოთხე პერსონალური და მოედანზე ბოლო 12-წუთეულის დაწყების შემდეგ დაბრუნდა. და, საბოლოოდ, ენტონიმ ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ სერია "მედისონ სკვერ დარდენში" დაბრუნებულიყო. არ უნდა დაგვანბნოს ფორვარდის 36-მა ქულამ - მან თამაშიდან 35-ჯერ ისროლა და 25 (!) ტყორცნა ააცილა, თან შვიდიდან ვერც ერთი სამ-

ქულიანი ვერ გამოიყენა, ძირითადი დროის ბოლოს კი ოთხიდან მხოლოდ ერთი საჯარიმო გამოიყენა.

Table with 2 columns: მატჩი (მატჩი) and შედეგი (შედეგი). Rows include Boston Celtics vs New York Knicks (97:90), Miami Heat vs New York Knicks (82:103), etc.

სერიები: 1-3. "ნიუ იორკის" ნაფორხილებით ისარგებლა "მაიაში" და სწორედ ის გახდა "აღმოსავლეთიდან" პირველი მეოთხედფინალისტი. გასაკვირა, მაგრამ "ჰიტმა" "მშრალი" ანგარიშით სერია 2005 წლის შემდეგ პირველად მოიგო, ანუ ფლორიდალა "დიდი ტრიოსთვის" ეს პირველი 4:0-ია. სერის ნაადრევად დასრულებას დიდ მნიშვნელობა ჰქონდა ლუიჯი უელის-

სპურსი მეოქრებს ელოდება



"ჰიტის" გამარჯვებიდან რამდენიმე საათის შემდეგ, გამოვლინდა პირველი მეოთხედფინალისტი დასავლეთ კონფერენციაში. "სან ანტონიო" ყველას დაანახა, რომ "ლეიკერსს" კობი ბრაიანტის გარეშე პლეი ოფში არაფერი ესაქმება.

ამ სერიაში ყველაზე გასაკვირი ის არის, რომ საკუთარ მოედანზე ლოსაჯელესელები უფრო უარესად გამოიყურებოდნენ, ვიდრე სან ანტონიოში გამართული შეხვედრების დროს. ეს იმის ბრალიც იყო, რომ ტრავმების გამო გუნდს ვერ ეხმარებოდნენ მეტა უორლდ პიხი და სტივ ზლიკი. სწორედ ამიტომაც განაცხადა "სან ანტონიოს" დამრიგებელმა გრეგ პოპოვიჩმა მეოთხე მატჩის შემდეგ - ეს, ალბათ, არ იყო სამართლიანი ორთაბრძოლა. აღსანიშნავია კიდევ ერთი მომენტი. შესაძლოა, ეს იყო ბოლო მატჩი

ლუაიტ ჰოვარდისთვის "ლეიკერის" მაისურით, რომელიც პირველი ივლისიდან თავისუფალი აგენტი გახდება. მან ვერ იტვირთა ლიდერის როლი კობი ბრაიანტის არყოფნაში და საეცებით შესაძლებელია, დატოვოს კალიფორნიელთა რიგები. "სუპერმენის" სიტყვებით, ეს სეზონი მისთვის ღამის კომპაროიტი იყო, საიდანაც ბოლომდე ვერ გამოვიდა.


გუშინდელ მატჩში, ჰოვარდმა ზედმეტი ემოციურობის გამო ვადაზე ადრე დატოვა მოედანი. "ლეიკერსი" ერთხელაც არ დაინაურებულა შეხვედრაში და 2007 წლის შემდეგ პირველად წააგო პლეი ოფში სანსის რაუნდის სერია. "სან ანტონიომ" კი დამაჯერებლად შეაბიჯა კონფერენციის ნახევარფინალში და "გოლდენ სტიტსა" და "დევერს" შორის სერიაში საუკეთესოს ელოდა.

Table with 2 columns: მატჩი (მატჩი) and შედეგი (შედეგი). Rows include Los Angeles Lakers vs San Antonio Spurs (82:103), Miami Heat vs New York Knicks (82:103), etc.





კალატბურთი



ნეფე-პატარძალი

ლეგენდა იქორწინა

ყველა დროის საუკეთესო კალატბურთელად აღიარებული მაიკლ ჯორდანი დაქორწინდა.

ჯორდანი, რომელიც თებერვალში 50 წლის გახდება, 35 წლის პრიეტო ხუთი წლის წინათ გაიცნო, მათი ნიშნობა კი გასული წლის დეკემბერში შედგა.

გვერდი მომგზავდა გია თვალაბიძე

როგბურთი



ივო კარლოვიჩი

ინსულსი არ ყოფილა

მძიმემა ზუსტი დიაგნოზი დაუსვეს ხორვატ ივო კარლოვიჩს, რომელიც მიაბის ერთ-ერთ კლინიკაში ინსულტის ნიშნებით მოათავსეს.

„გუმინ ბევრმა ვაზეთმა დანერა ინსულტის შესახებ, მაგრამ არ შეიძლება ასე არაპროფესიულად მოქმედება, - ამბობს ივოს და ანა კარლოვიჩი. - სინამდვილეში, ივოს ვირუსული მენინგიტი აქვს“.

ქრიზი

სუპერჩემპიონი აღარ არის

ამერიკელ მოკრივეს ფლოიდ მეივეზერს ჩამოართვეს WBA-ის სუპერჩემპიონის ტიტული 69.9 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში.



ფლოიდ მეივეზერი

Advertisement for JOMA SPORT GEORGIA featuring CUP, BUSINESS CHAMPIONS LEAGUE, and BRONZE LEAGUE results. Includes team photos and match statistics.

Advertisement for Sport Business Management Georgia, including contact information and a list of services.